

ჩვენი გიმნაზია

სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის და წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის ყოველთვიური გაზეთი №8 აგვისტო 2015 წ.

გაზეთი გამოდის გიმნაზიის დირექტორის სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოს იეგუდიელის ლოცვა-კურთხევით.

6(19) აგვისტო. ფერისცვალება უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი

მათე, მარკოზ და ლუკა მახარებლები მოგვითხრობენ, რომ იესო ქრისტემ თავისი სამი მოწაფე: პეტრე, იაკობი და იოანე მაღალ მთაზე აიყვანა და მათ წინაშე ფერი იცვალა: „და გაბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე, ხოლო სამოსელი მისი იქნა სპეტაკ, ვითარცა ნათელი“ (მათე 17.2) ლუკა მახარობელი კი გვეუბნება, რომ ქრისტეს ფერისცვალება ლოცვისას მოხდა: „და იყო ლოცვასა მას მისსა ხილვა პირისა მისასაი სხუა და სამოსელი მისი სპეტაკ და ელვარე“ (ლუკა; 9,29). მაცხოვარმა ფერი იცვალა მოწაფეთა რწმენის განსამტკიცებლად, რათა ისინი, როცა მოძღვრის ჯვარცმასა და სიკვდილს იხილავდნენ, მიმხვდარიყვნენ, რომ ეს ყოველივე კაცობრიობის ცოდვებისაგან გამოხსნისთვის იყო აუცილებელი.

როცა იესო ქრისტე მოციქულებს თავისი ღვთაებრივი დიდებით წარმოუდგა, მის გვერდით წინასწარმეტყველნი, მოსე და ილია იდგნენ: „და აჰა უჩუენნეს მათ მოსე და ელია მის თანა და თანაზრახვიდეს“. მახარებელი ლუკა იმასაც გვამცნობს, თუ რაზე ესაუბრებოდნენ ისინი უფალს: „იტყოდეს განსვლასა მას მისსა, რომელი ეგულებოდა აღსრულებად იერუსალემს“. განსვლაში აქ იგულისხმება სიკვდილის მეშვეობით ქრისტეს წასვლა მიწიერი ცხოვრებიდან, მისი აღდგომა და ამაღლება. უცებ გამოჩნდა ნათლის ღრუბელი და ღრუბლისაგან მოისმა ხმა: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო ვიყავ, მაგისი ისმინეთ“ (მათე; 17,5).

შიშისაგან პირქვედამხობილ მოციქულებთან იესო მივიდა, ხელი შეახო და უთხრა: „აღდექით და ნუ გეშინინ“. როცა მათ თვალი გაახილეს, აღარსად იყვნენ მოსე და ელია, იესო მარტო იყო.

25(7.08). მიცვალება მართალისა ანასი

მიცვალება მართალისა ანასი — დედისა ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა. ნეტარი ანა მღვდელმსახური ნათანისა და მისი მეუღლის, მარიამის ასული იყო, ლევიტელთა ტომიდან, აარონის მოდგმიდან. გადმოცემის თანახმად, იგი მშვიდობით მიიცვალა იერუსალიმში, სამოცდაცხრამეტი წლის ასაკში, ყოვლადწმიდა ქალწული მარიამის ხარებამდე. მოგვიანებით მისი ნეშტი კონსტანტინეპოლში გადაასვენეს.

15(28) აგვისტო. მიძინება ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა



ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი იესო ქრისტეს ამაღლების შემდეგ იერუსალიმში ცხოვრობდა, იოანე ღვთისმეტყველის სახლში. უბიწო ქალწული მოციქულებთან ერთად ლოცულობდა, უყვებოდა მათ ძე ღვთისას შესახებ, ნუგეშს სცემდა და განამტკიცებდა. ის ხშირად ეკედრებოდა უფალს, მალე მიეღო მისი სული სასუფეველში. და აი, ერთხელ, როცა მარიამი მაცხოვრის აკლდამაში ლოცულობდა, ცა გაიხსნა, გარდამოხდა გაბრიელ მთავარანგელოზი ხელში ზეთისხილის რტოთი და უბიწო ქალწულს ახარა: „გიხაროდენ მარიამ, რომელმან ჰშვენ ღმერთი ჩუენი, ლოცვა შენი აღვიდა წინაშე ძისა შენისა და შეწირულ იქნა, ამიერიდგან დაუტევებ სოფელსა, ნეტარო და ზეცასა ახვალ“. ღვთისმშობელი დიდად გაახარა ამ უწყებამ და მიცვალებისათვის მზადება დაიწყო.

მოციქულები ამ დროისათვის იერუსალიმში არ იყვნენ — სხვადასხვა ქვეყანაში ქადაგებდნენ, მაგრამ მარიამს ძალიან სურდა, ამ სოფლიდან განსვლამდე ყველანი ერთად ეხილა. უფალმა ეს სურვილიც აუსრულა ნეტარს: მეფსეულად შემოჰკრიფა მასთან მაცხოვრის ყველა მოწაფე. ხუთი მათგანი მკვდრეთით აღმდგარიყო. მოციქულები მიესალმნენ მას და მოუთხრეს, თუ როგორ იქნენ აღტაცებულნი მოღვაწეობის ადგილებიდან. გახარებულმა უბიწო ქალწულმა მადლობა შესწირა ღმერთს, შემდეგ კი თავის მიცვალებაზე დაუწყო საუბარი.

ღვთისმშობლის ამსოფლიდან გასვლისას საოცარი ნათლით გაბრწყინდა ის ოთახი, რომელშიც იგი იწვა. „იქმნა დიდებით განსაკჳრვებელი მოსვლა ქრისტეს ღვთისა და ძისა მისისა დიდებითა მით გამოუთქმელითა“. მან წმიდა ყოვლად უბიწო სული მშობლისა თვისისა „საღმრთოთა მათ და უხრწნელთა მკლავთა თჳსთა ზედა მიირქუა“ და ანგელოზთა გალობის თანხლებით აამაღლა ზეცად.

29(2.08). ხსენება წმიდა ილია მართლისა

ილია ჭავჭავაძე დაიბადა 1837 წლის 8 ნოემბერს სოფელ ყვარელში. ქართველი მწერალი, პოეტი, პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. საქართველოს ეროვნულ-განათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ, 1987 წელს საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის მიერ შერაცხულად იქნა წმიდანად და ეწოდა მას წმიდა ილია მართალი.

გთხოვთ, გაუფრთხილდეთ გაზეთს მასში დაბეჭდილი ტექსტის და ფოტომასალის გამო.

ილიამ სიცოცხლეშივე შეუნდო თავის მკვლელებს ცნობილი ელქსით „ლოცვა“.

„მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა!
მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგავარ შენ წინა:
არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა,
არ მინდა ამით შეურაცხვჰყო მე ლოცვა წმიდა...
არამედ მწყურს მე განმინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული,
რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან,
გთხოვდე: „შეუნდე, არ იციან, ღმეთო, რას იქმან!“

2 აგვისტო — უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ანგელოზის დღე

უწმინდესის გამონათქვამები

ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომრებში გვინდა ამ რუბრიკით შემოგთავაზოთ უწმინდესის გამონათქვამები.

სამშობლო, პირველ ყოვლისა, გულისხმობს სიყვარულს. სიყვარული კი უპირატესი მცნებაა, რადგან „ღმერთი სიყვარულია“. ამდენად, რაც

მისგან მომდინარეობს — ღვთიურია, კურთხეულია, მაცხოვნებელია. იქნებ ვცდები, მაგრამ მგონია, რომ ქართველი ხალხი ყველაზე უკეთ ჩასწვდა სახარების არსს — სიყვარულის უზენაესობას. ალბთ, ამიტომაც შედუღაბდა ასე ქართველის ცნობიერებაში სჯული და მამული.

რამდენიმე წლის წინ საქართველოში ერთი ინგლისელი ექიმი ჩამოვიდა ურთულესი ოპერაციების ჩასატარებლად. წასვლის წინ ჰკითხეს, საქართველოზე რას იტყვითო. მან მიუგო, მე მრავალ ქვეყანაში ვყოფილვარ, მაგრამ ასეთი ხალხი არსად შემხვედრიაო. თქვენ — ქართველები — ყველაფერს გულით აკეთებთო“. რომ დავფიქრდი მართლაც ასეა. მაშ, გამოდის, რომ ჩვენი მამოძრავებელი ძალა სიყვარული ყოფილა, რადგან გული სიყვარულის საბრძანისია. აქედან გამომდინარე, ქართველებისათვის საშშობლოს სიყვარული ღვთიური მცნების აღსრულებაა, უფლის დიდებაა, მისი მსახურებაა.

ამქვეყნიური საშშობლო ზეციური საშშობლოს ერთგვარი ხატია, ამდენად ქართველებისათვის საშშობლოსათვის თავის შეწირვა მიწიდან ზეცად ამაღლებაა, უფრო დიდ, მარადიულ საშშობლოში გადასახლებაა.

საშშობლო — ერად ყოფნის ბედნიერებაა, მოყვასის ტკივილისა და სიხარულში თანამონაწილეობა, სტუმრის ღვთის კაცად ჩათვლაა, მიმტევებლობაა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე

დაგვაბრუნეთ

ქართველ ემიგრანტებზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ყოვლადწმიდა სამების საკათედრო ტაძარში ქადაგებისას ბრძანა, რომ ყურადღება მივაქციოთ მთელ მსოფლიოში მცხოვრებ ქართველებს. „ქართველ ადამიანს ჰგონია ისეთი ძლიერი გენისაა, რომ ის არ დაიკარგება, მაგრამ საშშობლოს სჭირდება დახმარება. ყოველ ქართველს, ყოველ ჩვენს თანამემამულეს ელოდებიან საქართველოში. საქართველო გელოდებათ თქვენ! ელოდება თქვენს ჩამოსვლას, როგორც მშობელი დედა ისე მიგიღებთ თქვენ საშშობლოში“.

ემიგრანტი ქართველობაც ძალიან განიცდის მშობლიურ ქვეყანასთან განშორებას და მეტი ემოციურობით გადმოგვცემს გულისნადებს. პატრიარქის ქადაგების შემდეგ გვინდა ვისაუბროთ ჩვენი კუთხის შვილის, გიული ჩქარეულის შესახებ, რომელიც წლებია ემიგრაციაში ცხოვრობს. მისი სიტყვები მოწოდებაა ყველა ქართველისადმი.

„რა ჯობია შენს ქვეყანას, შენს მშობლიურ სახლს. აქ ყველაფერი თბილია და ტკბილი. ჰაერიც თითქოს სულ სხვანაირია და ისე ხარბად სუნთქავს, თითქოს ერთბაშად გინდა აინაზღაურო ის დანაკლისი, რაც შორს ყოფნისას გაკლდა და გენატრებოდა. საშშობლო არასოდეს გვტოვებს, ეს ჩვენ ვტოვებთ მას ბედის უკუღმართობითა და უკეთესი ცხოვრების იმედით, მაგრამ საკუთარი გამოცდილებით გეტყვით, ქართველებო, ჩემო დებო და ძმებო, შვილებო, ნუ დატოვებთ საშშობლოს, რადგან არსად ასეთი სითბო არაა, როგორეც აქ, არსად ისეთი ამაყი არ ხარ, როგორც აქ და არსად ისეთი ლაღი და ბედნიერი არ ხარ, როგორც აქ“ — ამბობს გიული ჩქარეული.

ქალბატონ გიულის რითმაც ემორჩილება. გვინდა შემოგთავაზოთ მისი ლექსიდან ნაწყვეტი „დაგვაბრუნეთ“.

„დაგვაბრუნეთ, სანამ გული
ქართველობს და სულიც მხნეობს,
ვიდრე არ ვართ დაკარგულნი
და საშშობლო სულში მზეობს.
დაგვაბრუნეთ, სანამ გვახსოვს
ჩვენი ტაძრის ლოცვის მადლი,
ვიდრე ეჭვი არ ჩააქრობს
რწმენას, ენას, სხვაზე გაცვლილს...
დაგვაბრუნეთ ოჯახებთან,
განშორებამ დაგვაბერა,
მუხლს მოვიყრით ჩვენს მოძღვართან,
ცეცხლს ავუნთებთ ჩამქრალ კერას.
დაგვაბრუნეთ, სანამ ცრემლის
მძივი გულზე ჯაჭვად გვიჭერს
ვიდრე ცოცხლობს ნატვრა მწველი,
ვიდრე რწმენაც გაგვიგლიჯეს.
დაგვაბრუნეთ ჩვენს მთა-ბარში,
საშშობლოს ნუ დაგვამდურებთ,
არ დავრჩებით არვის ვალში,
დაგვაბრუნეთ!.. დაგვაბრუნეთ!..“

სოფო ღუდუშაური

გიმნაზიის მე-9 კლასის მოსწავლე

ახალგაზრდული საკრებულოს გიმნაზიის მოსწავლეები

მოგეხსენებათ საქართველოს 64 მუნიციპალიტეტში შეიქმნა ახალგაზრდული საკრებულოები. მათ შორის შეიქმნა "ყაზბეგის ახალგაზრდული საკრებული". საკრებულო წარმოადგენს XI-XII კლასის მოსწავლეებით დაკომპლექტებულ გუნდს, რომელშიც წარმოდგენილია მაღალი აკადემიური მოსწრების ახალგაზრდები. ახალგაზრდულ საკრებულო შედგება 21 წევრისაგან და აერთიანებს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებს. ჰყავს თავმჯდომარე და შექმნილია თემატური კომისიები.

ყაზბეგის ახალგაზრდულმა საკრებულომ 3 თვის განმავლობაში არა ერთი პროექტი განახორციელა არასამთავრობო ორგანიზაციების და ადგილობრივი მთავრობის დახმარებით (მარათონი, ინტელექტუალური შეჯიბრი,კლდეზე ცოცვა, ფეხბურთის სარაიონო ჩემპიონატი, პოეზიის საღამო,ელექტრონული მუსიკის საღამო, დასუფთავების აქცია, ტრენინგ-სემინარები,თვისუფალ ჭიდაობაში შეჯიბრი, და ა.შ) ყაზბეგის ახალგაზრდულ საკრებულოში გიმნაზია-პანსიონიდან წარმოდგენილია 3 ბავშვი:

1) გიორგი ქირიკაშვილი 2) უჩა ხუციშვილი 3) შალვა ფიცხელაური

გიმნაზიის 2 მოსწავლეს საკმაოდ საამაყო თანამდებობა უკავია საკრებულოში,

უჩა ხუციშვილს უკავია საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობა, ხოლო შალვა ფიცხელაურს სპორტის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობა. ყაზბეგის ახალგაზრდული საკრებულო მუშაობს, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდების გააქტიურებაზე და მათ მოტივაციაზე.

ახალგაზრდული საკრებულოს თავმჯდომარე
უჩა ხუციშვილი

სტუმრად სტეფანწმინდაში

თბილისის 40⁰ სიცხისაგან თავის დასაღწევად ოჯახმა გადავწყვიტეთ რამდენიმე დღით სტეფანწმინდაში სტუმრობა. პირველად ვარ ალექსანდრე ყაზბეგის სამშობლოში. გაოცებული ვუცქერ აქაურობას, რა სილამაზეა, როგორი სუფთა და გრილი ჰაერია, რამდენად სტუმართმოყვარე და კეთილია აქაური ხალხი.

უდიდესი მოწიწებით მოვილოცეთ გერგეტის სამება, ელია წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესია, უწმინდესისა და უნეტარესის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით დაარსებული დარიალის მთავარანგელოზთა სახელობის სამონასტრო კომპლექსი და სხვა წმინდა ადგილები. და ბოლოს, მასპინძლის რჩევით ვნახეთ ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონი. ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. ასეთ სასწავლო ცენტრს თბილისშიც ბევრი ინატრებდა. ქედს ვიხრი უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ღვაწლის წინაშე, რომელმაც მოხვევ ახალგაზრდებს ასეთი სასწავლებელი შეუქმნა, მადლობას ვუხდი სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოსს, გიმნაზიის დირექტორს მეუფე იეგუდიელს, რომლის შრომის შედეგია ასეთი ცოდნის ტაძრის შექმნა, მადლობა არქიმანდრიტ ნიკოლოზს, რომელზეც ასეთი სიყვარულით ლაპარაკობს მრევლი და მადლობა აქ მოღვაწე მასწავლებლებს და მომსახურე პერსონალს.

საინტერესო წერილები და ნახატები ვნახე გაზეთ „ჩემი გიმნაზიის“ ფურცლებზე. ფაქტი ერთია, გიმნაზიის მოსწავლეები აზროვნებენ და აყალიბებენ სწორ შეხედულებებს ცხოვრებაზე, ამის შესაძლებლობა მოგცათ თქვენ ამ პატარა, ლამაზი ჟურნალის დაარსებამ.

ორიოდე სიტყვით მინდა მივმართო გიმნაზიის მოსწავლეებს. გულისყურით გავეცანი თქვენი ჟურნალის მრავალ ნომერს, წავიკითხე თქვენი ნაფიქრები, სურვილები, გულისტკივილები, დავათვალიერე ნახატები, დავრწმუნდი, თუ გულისყურით მოეკიდებით საქმეს, თქვენგან შეიძლება ცნობილი მხატვარიც გახდეს. ტექნოლოგიების განვითარებამ ძალიან ბევრი ცუდი, ავი და ბოროტი მაგალითები დაგვანახა, უნდა ეცადოთ, რომ უზღვავი ინფორმაციიდან მხოლოდ კარგი და სასარგებლო შეიმეცნოთ. ზოოპარკში ადამიანები ვუცქერით სხვადასხვა ნადირს, ვაკვირდებით მათ ქცევას, მაგრამ მათნაირად ხომ არ ვცხოვრობთ და ვიქცევით?

ხშირად ისმება კითხვა — რამ გადაარჩინა საქართველო ამდენი ხნის მანძილზე? პასუხი მარტივია — ქართულმა ადათ-წესებმა და წესჩვეულებებმა. სტეფანწმინდა ის ადგილია, სადაც ძალიან კარგად ესმით და იცავენ როგორც ქართულ, ისე მოხეურ ტრადიციებს.

მე 38 წლის ვარ. მე-9, მე-10 და მე-11 კლასებში ლამფის შუქზე მიხდებოდა სწავლა, ზამთარში შეშაც არ გვქონდა, რომ კლასი გაგვეთბო, ხელები ისე გვეყინებოდა, რომ კალამს ვერ ვიჭერდით. მიუხედავად ამისა, სკოლაც და უნივერსიტეტიც მაქსიმალურ ქულებზე დავამთავრე. თქვენი გიმნაზიის ნახვისას მაშინვე ვთქვი — აქ ისეთი პირობებია შექმნილი, რომ მოსწავლეს უფლება არ აქვს უსწავლელობისა. ის ქართული განათლების ლამპარია ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვარზე. მინდა მთელი საქართველო ასე კაშკაშებდეს.

უღრმესი პატივისცემით
ილია ჯანიაშვილი. 17.08.15.

ბედნიერი ზაფხული ქობულეთში

გიმნაზია ჩვენთვის მარტო ცოდნის შეძენის ტაძარი არ არის, ეს ჩვენი ოჯახია, სადაც ათობით მასწავლებელი და ჩვენზე მზრუნველი მომსახურე პერსონალი, მეუფე იეგუდიელის თაოსნობით დღენიადაგ ზრუნავენ ჩვენს განვითარებასა და დასვენებაზე.

2015 წლის 1 აგვისტოს არქიმანდრიტ ნიკოლოზის ძალისხმევით გიმნაზიის წარმატებული მოსწავლეები და მგალობლები ქობულეთში წაგვიყვანეს დასასვენებლად. ზოგიერთმა ჩვენგანმა ზღვა პირველად ვნახეთ

და მოვიხიბლეთ მისი სილამაზით. ჩვენი — ხევის ბუნებისაგან ხომ აქ სრულიად განსხვავებული გარემოა.

ქობულეთში ჩვენზე მზრუნველ ადამიანებს დავყავდით ექსკურსიებზე, მონაწილეობას ვღებულობდით სპორტულ შეჯიბრებებში. სულიერებაზე ვზრუნავდით გიმნაზიის ეზოში აგებულ ტაძარში.

ყველაფერი მშვენიერი იყო. ეს დღეები არასოდეს დამავიწყდება.

მადლობა ჩვენი გიმნაზიის ხელმძღვანელობას, მეუფე იეგუდიელს და არქიმანდრიტ ნიკოლოზს ჩვენი დღეების ასე გალამაზებისათვის.

სოფო ღუდუშაური
გიმნაზიის VII კლასის მოსწავლე

ყველანი წავალთ ქვეყნიდან

ყველანი წავალთ ქვეყნიდან
ჩემი დროც ალბათ მოდის,
აქ დამრჩა ბევრი იარა
მიმოხატული ცოდვით.

მივდევარ ეშმას ბილიკებს,
თან ნაფეხურებს ვკოცნი,
ვიცი ვაკეთებ შეცდომას
და ძლივს ვჩერდები ლოცვით.

თავს არ მანებებს სატანა,
სურს გაიმარჯვოს ჩემზე
ქვითინი ისმის სადღაც და
გავმწყრალვარ ჩემივ ბედზე...

ვერ დამამარცხებს მაცდური,
მაგრამ რა ვუყო ცოდვებს,
ვიცი, რომ გავსამართლდები
და მიტომ ვებრძვი გრძნობებს.

შავით მოცული ცხოვრება
ვის გაახარებს ნეტავ?!
ცოდვით დასერილ ჭრილობებს
ცრემლნარევ ლოცვით ვკეთავ!

ღმერთო, მომეცი ძალა რომ
არ დამამარცხოს ეშმამ...
არ მინდა ცოდვილ მიწაზე
ბევრი შევცოდო ერთმა...

ხატია გელაძე
წიგნიდან „ძახილი მთიდან“

ფანშეტი
(სიონის თემის საკრებულო)

სოფელი ფანშეტი მდებარეობს თერგის მარცხენა ნაპირზე. ყაზბეგიდან 4 კილომეტრზე. იგი ხევის ერთ-ერთი ძველი დასახლებაა. თანამედროვე სოფლის ჩრდილოეთით შემორჩენილია ნასოფლარი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ძველ ფანშეტს ეძახის, წმინდა ადგილად ითვლება და იქ დღეობებს მართავს. ფანშეტს მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა. თერგის ხეობის მარცხენა სანაპიროს დაცვაში. სოფლის ეკონომიურ ცხოვრებაში გარკვეული წვლილი შეჰქონდა ქვის კარიერს, რომელიც მდებარეობს ფანშეტ-გერგეტის საძოვრების საზღვარზე. აქ შემორჩენილია ნასახლარები და საქონლის სადგომი ბაკის ნაშთები. გადმოცემით ამ ადგილას ცხოვრობდნენ წმ. სამების ეკლესიის აშენებელი კალატოზები, რომლებიც აქედან „სამებამდე“ გაყვანილი სამარხილო გზით, მარხილში შებმული ხარებით ეზიდებოდნენ ქვას ეკლესიის ასაშენებლად. თანამედროვე სოფლის შედარებით ძველი დასახლება ორ საგვარეულო კოშკის (ჩონიაშვილებისა და სამქანაშვილების) ირგვლივ იყო გაშენებული. სოფელში ცხოვრობდნენ საბაურებიც, მათაც ჰქონდათ საგვარეულო კოშკი. სოფლის ჩრდილოეთით, ყაზბეგის გზაზე, ადგილ ახადეში, შვეულ კლდეში გამოკვეთილია ე. წ. „ცოდვილთ ქოხები“, სადაც იზამთრებდნენ ბეთლემის სავანის ბერები. ფანშეტის შემოგარენში, „ჩხუტის მთაზე“, იყო ფანშეტისა და მეზობელი სოფლების მოსახლეობათა სახიზარი. შემორჩენილია თავშესაფართა ნიმუშები, ხელსაფქვავის ნატეხები და ხელით სატყორცნი მრგვალი ქვები. XX საუკუნიდან სოფელი ბარში ჩამოსახლდა.

ვ. კახაძე

ფიტოთერაპია
მრავალძარღვა

მრავალძარღვასებრთა ოჯახის წარმომადგენელია. გავრცელებულია მთელ საქართველოში, განსაკუთრებით ტყიან ზოლებში, ტენით უზრუნველყოფილ ნიადაგებზე, გზა-ბილიკების გვერდით, ეზოებში, დაბალი სიხშირის ტყის კორომებში.

ფოთლებს იყენებენ როგორც ამოსახველებელ საშუალებას ბრონქიტის, ფილტვის ტუბერკულოზის და ყივანახველის დროს. ეფექტურად თვლიდნენ საჭმლის მომნელებელი სისტემის მოშლის პერიოდში, კუჭის კატარის შემთხვევაში დაბალი მჟავიანობით, მწვავე გასტრიტის, ენტეროკოლიტისა და წყლულოვანი დაავადების დროს, როგორც სამკურნალო საშუალება, მრავალძარღვა ხალხური მედიცინიდან იყო ნასესხები და დიდი ხნის განმავლობაში მედიცინაში ნაყენის სახით გამოიყენებოდა.

მრავალძარღვას წვენი კუჭის წვენს სიმჟავეს მატებს და უნიშნავენ მწვავე და ქრონიკული გასტრიტის, ენტეროკოლიტის შემთხვევაში. იგი კარგად მოქმედებს ქრონიკული ქოლეცისტიტის და დაბალმჟავიანი წყლულის დროს. იღებენ წვენის სახით თითო სუფრის კოვზს დღეში სამჯერ ჭამამდე 15-20 წუთით ადრე. მკურნალობის კურსი 3-4 კვირიანია. წვენი ჭრილობის შემხორცებელი საშუალებაცაა.

მრავალძარღვას ყველა სახეობის ფოთლებს ხალხური მედიცინა ფართოდ იყენებს ტუბერკულოზის, ჰეპატიტის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, ბუასილის, თავის ტკივილების დროს. აგრეთვე სისხლის შემადედებელ და ამოსახველებლ საშუალებად. გარეგნული საშუალებების მიზნით ფოთოლს იყენებენ ჭრილობებზე, მუწუკებზე, კანის ანთებით პროცესებიან კერებზე და მწერების ნაკბენ ადგილებზე დასაფენად. მრავალძარღვას ახალი ფოთლების წვენს წინათ ყელის კიბოს სამკურნალოდ იყენებდნენ, თანამედროვე ხალხურ მედიცინაში კი მას კუჭისა და ფილტვის კიბოს სამკურნალოდ იყენებენ.

მრავალძარღვას თესლს იყენებენ ქრონიკული კუჭშეკრულობისას ნაწლავების ანთებითი პროცესების შემთხვევაში. მას ღამღამობით 10-15 გ, რომელსაც წინასწარ მდუღარე წყალს ასხამენ, ან ნაყენის სახით ხმარობენ. სვამენ თითო სუფრის კოვზს დღეში 3-4-ჯერ. მთიანი ალტაის ხალხი მრავალძარღვას ფესვის ნახარშს შარდის ბუშტის ანთებითი პროცესების ჩასაქრობად იყენებენ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება აგრეთვე ჩვენთან გავრცელებული ლანცეტა მრავალძარღვა. მას ლანცეტა ფოთლები აქვს და ბევრად უფრო წვრილია, ვიდრე ზემოთ განხილული სახეობის მრავალძარღვა.

ლანცეტა მრავალძარღვას ფოთლების წყალზე ნაყენის სველი საფენები გამოიყენება თვალის ანთების დროს, ხოლო ამ ნაყენით თვალების ამორეცხვით თვალის უპეები ჩირქოვანი წარმონაქმნებისაგან იწმინდება.

ჩემი ოცნება

ვოცნებობ ვიყო ჭკვიანი, ბეჯითი და კეთილი ადამიანი. ჩემი მასწავლებლისაგან ვიცი, რომ თუ მინდა ჭკვიანი ვიყო, აუცილებელია შრომა, მეცადინეობა, მხატვრული ლიტერატურის კითხვა.

დაწყებითი კლასიდან გადავედი უფრო მაღალ საფეხურზე და ვემშვიდობები ჩვენს ძვირფას და საყვარელ მაიკო მასწავლებელს. მან შემასწავლა წერა-კითხვა, ვფიქრობ, ვერ გადავიხდი მის ამაგს. ამ ოთხი წლის განმავლობაში მუდამ ჩვენზე ზრუნველს, ამაგს დავუფასებ.

ვოცნებობ ქვეყანაზე იყოს მშვიდობა და საქართველო გაერთიანდეს.

ლევან თექთურმანიძე
IV კლასის მოსწავლე

კონკურსისათვის

ნინო ქირიკაშვილი

რედაქტორი მანონი გომიაშვილი	სარედაქციო კოლეგია: არქიმანდრიტი ნიკოლოზ ღლონტი, ციცინო ღუდუშაური, ნინო თურქიაშვილი, ნატო ფიკლაური, უჩა ხუციშვილი.	მის. სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახ. გიმნაზია-პანსიონი